



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა, ბაკალავრიატი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
20/07/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

28/07/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მენეჯმენტის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის # 618305 გადაწყვეტილება

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გაგა ბუიშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ხაბეიშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ ხორციელდება სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის #618305 გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით 2021 წლის 20 ივლისამდე.

„მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის სფეროს ფართო ცოდნის სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ გაზრდილ და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით გათვალისწინებულ ბაკალავრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამა არის 240 კრედიტიანი, რომელიც გაწერილია 4 წელზე ანუ 8 სემესტრზე. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით, 230 კრედიტით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორისაა 10 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსების სახით, ხოლო 10 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია სავლელე (5 კრედიტი) და საწარმოო (5 კრედიტი) პრაქტიკის სახით, პროგრამის სტრუქტურაში ასევე გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი 5 კრედიტის სახით.

პროგრამას გააჩნია მიღების წინაპირობები, რომლებიც იძლევა საშუალებას პროგრამაზე აბიტურიენტმა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, სადაც ბარდება ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და მათემატიკა.

პროგრამაში ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების დონეზე გაწერილია კონკრეტული მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა მეთოდები და შეფასების მეთოდები/ფორმები/აქტივობები. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სამიზნე ნიშნულები და პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები. პროგრამის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის განსაზღვრული დასაქმების შესაძლო სფეროები.

პროგრამაზე სტუდენტების პირველი მიღება მოხდა 2020 საწავლო წელს და მიღებული იქნა 6 სტუდენტი. პროგრამის განხორციელებას ემსახურება 62 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სადაც 50 არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, ხოლო 12 მოწვეული პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფილია გამართული სასწავლო ინფრასტრუქტურით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 20 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

„მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ

- **პირველი სტანდარტი** - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 1.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორე სტანდარტი** - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.5 და 2.6 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამე სტანდარტი** - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 3.2 კომპონენტი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ შეფასებულა;
- **მეოთხე სტანდარტი** - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი** - სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი;
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები;
3. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და სავლე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონენტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების „მწავენე ეკონომიკა“ და „ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი, შესაბამისად უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
5. რეკომენდებულია „რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;
6. რეკომენდებულია გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება, კერძოდ შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „მენეჯმენტის საფუძვლების“ შინაარსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახით, რათა სრულად მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები „დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ და „აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები“, როგორც „პროექტების მართვა“ და „მიწოდების ჯაჭვის მართვა“;
9. რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის

შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ „საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;

10. რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;
11. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოდილების შესწავლის ე.წ. „ბეჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;
2. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების (ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობის საკითხს;
3. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთოს მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;
4. სასურველია პროგრამაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად მენეჯმენტის რომელ რგოლში აქვთ შანსი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებისათვის;
5. სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს ხარისხის მართვის და რისკების მართვის სასწავლო კურსების დამოუკიდებელი კურსების სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას;
6. სასურველია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
7. სასურველია დაწესებულებამ განსაკუთრებით პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ნაწილში მოახდინოს სასწავლო კურსების კრედიტების რანჟირება თუნდაც 3-5 კრედიტის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში დამატებით იქნეს გამოთავისუფლებული გარკვეული კრედიტები და მოხდეს საჭირო ცვლილებების განხორციელება;

8. რეკომენდებულია პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
9. სასურველია დაწესებულებამ მაქსიმალურად აარიდოს თავი ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსში გარკვეული თემატიკის გადაფარვას, კერძოდ გარკვეულ საკითხებში (ბიზნესის გარემო, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფრომები, გადასახადები) ერთმანეთს ფარავს ბიზნესის საფუძვლების, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების სასწავლო კურსების შინაარსი;
10. სასურველია სასწავლო კურსებში „ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია“, „ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში“, „ოპერაციითა მენეჯმენტი“ სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
11. სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა;
12. სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა;
13. სასურველია პროგრამის ფარგლებში არსებობდეს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას, სხვა შესაბამის დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე დატვირთვას ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული;
14. სასურველია პერსონალის შერჩევასა და აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა შესაბამის საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა;
15. სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება;
16. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით;
17. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობის შესაძლებლობები და არსებული კონტაქტები განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებლად;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციები

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის #618305 გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით 2021 წლის 20 ივლისამდე. შესაბამისად, განისაზღვრა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კერძოდ სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები და ასევე კავშირი სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის), შემუშავდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
2. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს პროგრამის შინაარსი პროგრამის სტრუქტურაში მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსების დამატებით;
3. რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსებისათვის „ბიოეკონომიკა“, „მწვანე ეკონომიკა,“ მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება“, „ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი“, „მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების“, „ცხოველთა გენეტიკა“, „ცხოველთა მომშენებლობის“, „ცხოველთა კვების“ „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის“ განისაზღვროს წინაპირობები;
4. რეკომენდირებულია გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტების და არჩევითი დისციპლინების მოცულობა;
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და გაფართოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის არეალი;
6. რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ, აქ იგულისხმება სააპელაციო პროცედურების, როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პრეზენტირება, რადგან , როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიღებული შეფასების გადამოწმება ამაღლებს შეფასების სანდოობის დონეს რაც, ცხადია, დადებითად მოქმედებს სწავლის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებაზე;
7. რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება;
8. აუცილებელია პროგრამაში პროექტების მართვის დამატება, პროექტები უნდა იყოს მორგებული პროგრამის სპეციფიკას, ასევე ოპერაციათა კვლევის, მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვის, ფონდების, გრანტების მოძიების საკითხების დამატება. ასევე, რეკომენდირებულია საკითხების დამატება, რომლებიც შეეხება ბანკებიდან როგორ აიღება სესხი, როგორ იმართება ფულადი ნაკადები სესხის პირობებში;

9. სასწავლო კურსები „ცხოველთა ორგანული კვება“, „მთის ორგანული მდელოს საკვებწარმოება“ და „მთის ორგანული მინდვრად საკვებწარმოება“ იდენტურია ერთმანეთის ასევე გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, ამიტომ შესაძლებელია ამ სასწავლო კურსების გაერთიანება ერთ სასწავლო კურსად (ცხოველთა ორგანული კვება), რომლის შედეგადაც გამონთავისუფლდებოდა კრედიტები და მათ შეეძლოთ კურიკულუმში ჩაესვათ მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსები;
10. გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგიები, მაგალითად ორგანული ფერმერი, ორგანული სელექცია, ორგანული ტყე, ორგანული მერქანი და სხვა;
11. შესწორდეს სასწავლო კურსების „საკვლე პრაქტიკა“ და „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს საკითხებთან.

პირობითი აკრედიტაციის პროცესში, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა პროგრამაში განხორციელებულია რიგი ცვლილებებისა, რომლებიც გამომდინარეობს სწორედ პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებიდან, კერძოდ:

1. მნიშვნელოვან წილად არის გაუმჯობესებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმები და მეტად არის გამოკვეთილი მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები;
2. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა ეკონომიკის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, სტატისტიკის საფუძვლები, დაპროექტება და პროექტების მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში, ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი, აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები, რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი აგრობიზნესისთვის, ორგანიზაციული ქცევა;
3. დაკორექტირებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების წინაპირობები, არსებული რეკომენდაციის შესაბამისად („ბიოეკონომიკა“, „მწვანე ეკონომიკა, ”მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება“, „ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი“ და ა.შ.);
4. პროგრამის თავისუფალი და არჩევითი კომპონენტები წარმოდგენილია 20 კრედიტის ფარგლებში;
5. დამსაქმებლები იღებდნენ მონაწილეობას პროგრამის დახვეწაში, თუმცა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პოტენციური დამსაქმებლთან გაფორმებული მემორანდუმი;
6. სტუდენტები ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესში მიმდინარე პროცედურულ საკითხებზე, იცნობენ გასაჩივრების მექანიზმს და ა.შ.

7. მოცემულ პროგრამაზე ამჟამად ირიცხება 6 სტუდენტი, შესაბამისად ფინანსურად წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად ის არ არის მომგებიანი, თუმცა ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას;
8. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით დამატებულია ფინანსური მენეჯმენტის და პროექტების მართვის სასწავლო კურსები;
9. გაერთიანებულია ზოგიერთი სასწავლო კურსი, თუმცა კიდევ არის შესაძლებელი გარკვეული ოპტიმიზაციის განხორციელება მოცემული მიმართულებით;
10. მეტნაკლებად გადახედილია პროგრამაში გამოყენებული ტერმინოლოგია, თუმცა ტერმინი ორგანული ისევ ფიგურირებს წარმოდგენილ პროგრამაში, რაც მიუხედავად იმისა რომ შედარებით ახალი ტერმინია ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის აკადემიურ კონტექსტში მისი გამყარება შესაძლებელია შესაბამისი აკადემიური შინაარსის განსაზღვრის მეშვეობით;
11. მიუხედავად იმისა რომ განხორციელებულია პრაქტიკის კომპონენტის გარკვეული კორექტირება, მიგვაჩნია რომ აღნიშნული კომპონენტი კიდევ უნდა დაკორექტირდეს ამ ჯერზე გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად;

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამამ განიცადა გაკრვეული ცვლილებები პროგრესის კუთხით.

▪ **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული მენეჯმენტის ბაკალავრი, რომელსაც ექნება მთის მდგრადი ფერმერული სისტემების მართვის თეორიებისა და პრინციპების, გარემოს დაცვის, დეგრადირებული, დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაუმჯობესების, ფიტო სანიტარული მელიორაციის, მთის ეკოლოგიურად ცვალებად და რისკებით სავსე გარემოში „IFOAM“-ის მიერ რეკომენდირებული სისტემების მენეჯმენტის ცოდნა და იქნებიან აღჭურვილები კლიმატონივრული ტექნოლოგიების გამოყენების მთაში არსებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური სირთულეების შემცირებისათვის, გონივრული ფინანსური, ორგანიზაციული ქცევისათვის, ბიზნესის გაფართოებისათვის და მთის ორგანული ფერმერული სისტემების მდგრადი მართვისათვის და საქმიანობის ეთიკური პრინციპების დაცვის ცოდნითა და უნარებით.</p> <p>პროგრამა ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, რომლის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. შესაბამისად, ფაკულტეტის ამოცანებია: პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - ბაკალავრებისა და პროფესიული განათლების მქონე პირების - სპეციალისტების მომზადება; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.</p> <p>ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის მიზანი შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის მისიას, რადგან უნივერსიტეტის მისიაა - ინოვაციებზე დამყარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის მაღალი სულიერების, ზნეობრიობის</p>

დამკვიდრებით, ისე იმ ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს სადაც ხორციელდება აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების მხრიდან ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის ერთგვარი კვლევა, სადაც დაწესებულების მხრიდან გამოკითხული იქნა 3 პოტენციური დამსაქმებელი, 15 აკადემიური პერსონალი და 23 მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტი, შესაბამისად აღნიშნული გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია პროგრამის SWOT ანალიზი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამასთან, მიგვაჩნია რომ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის საჭიროებს მნიშვნელოვან სისტემურ სრულყოფას, კერძოდ მან უნდა მოიცვას პოტენციური დამსაქმებლების ფართო სპექტრი და გავიდეს არა მარტო მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებზე, რომლებიც ისედაც უკვე სწავლობენ უნივერსიტეტში, არამედ ის აბიტურიენტები, რომლებიც შედიან პროგრამის პოტენციური სტუდენტების სამიზნე ჯგუფში, ნათლად გამოიკვეთოს ექსპერტული შეფასების დეტალები და დაიხვეწოს გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია, რაც მიგვაჩნია რომ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების მხრიდან მხედველობაში იქნა მიღებული სხვადასხვა გამოცდილება, შესაბამისად დაწესებულების მხრიდან გაკეთებულია ერთგვარი ბეჭმარკინგი და შესწავლილია აშშ, ავსტრალიის, ავსტრიის და ა.შ. გამოცდილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ავსტრიის ვენის ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებების უნივერსიტეტის გამოცდილება, ამასთან აღნიშნულ უნივერსიტეტთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი და აქტიურად თანამშრომლობს მასთან.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მიზნები რეალურია, მიღწევადია და ხელს უწყობს ისეთი სპეცილისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ როგორც სფეროს, ისე საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php>;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერის შესაბამისად, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განაზოგადებს ინფორმაციებს გაეროს მიერ პროგნოზირებული გლობალური შიმშილობის, წყურვილის, კლიმატის გლობალური ცვლილებებით გამოწვეული მოვლენების პრევენციის საკითხებზე, მდგრადი მართვის და ეკონომიკურად ეფექტური მენეჯმენტის კარგ გამოცდილებაზე; 2. იყენებს გლობალური მდგრადობის მიზნების, მათი პრინციპების განსახორციელებლად საჭირო ცოდნას; 3. იაზრებს წარმოების მენეჯმენტში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების, ტექნიკის გამოყენების, ორგანული პროდუქციის წარმოება რეალიზაციისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; 4. აანალიზებს ინფორმაციას უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა აგრობიზნესში მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის, მომარაგება-რეალიზაციის ჯაჭვის მნიშვნელობაზე; 5. განსაზღვრავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩასატარებელი საქმიანობების პრიორიტეტებს, მართვის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, ბაზრის, წარმოების ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელი პროცესების გათვალისწინებით;

6. განიხილავს მთის ისტორიული, კულტურული, ბუნებრივი, გენეტიკური მემკვიდრეობის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, სოციალური, ეკომიგრაციის კონტროლის საქმეში რეგიონალური ეკონომიკის მნიშვნელობას;
7. მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მენეჯმენტისათვის საჭირო ცოდნის საფუძველზე, აყალიბებს მოსაზრებებს და წარადგენს სპეციალისტებთან და საზოგადოებასთან;
8. იზიარებს მთის ისტორიული, კულტურული, ბუნებრივი, გენეტიკური მემკვიდრეობის დაცვის, სამუშაო ადგილების შექმნის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების და ეკომიგრაციის პრევენციის მიზანშეწონილებას;
9. დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე;
10. ავლენს პატივისცემას პროფესიისა და პარტნიორობისადმი, გლობალური მდგრადობის მიზნებისადმი

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ანიჭებს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, პროგრამის სწავლის შედეგებში გამოკვეთილია ის კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნებათ პროგრამის კურსდამთავრებულებს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომიური ზმნები, რაც კიდევ უფრო გაზომვადს ხდის პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამაში განსაზღვრულია ასევე დასაქმების ის სფეროები, სადაც შეუძლიათ დასაქმდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა გამოკვეთილი ყოფილიყო კონკრეტულად მენეჯმენტის რომელ რგოლში აქვთ შანსი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებისათვის.

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რაც მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ქმედებებს:

- სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის შედგენა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის განსაზღვრა.

საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს პროგრამის სამიზნე ნიშნულები, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი თუ როგორ

მონაწილეობს ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში - გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე. ამასთან კარგი იქნება, დაწესებულება კიდევ ერთხელ თუ გადახედვას აღნიშნულ რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების (ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობას.

აღსანიშნავია, ისიც რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც შეფასებისათვის გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება შეფასების გეგმის მიხედვით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ოთხ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს ოთხ წელიწადში ერთხელ, შესაბამისად ვინაიდან პროგრამა ფაქტობრივად ახალია და ოთხი ადემიური წელი ჯერ არ გასულა, ცხადია, რომ დეტალური შეფასება ამ ეტაპზე ვერ იქნებოდა წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელთან და მოადგილესთან;
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Agro/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების (ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობის საკითხს;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთოს მენეჯმენტის კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;
- სასურველია პროგრამაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად მენეჯმენტის რომელ რგოლში აქვთ შანსი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, სადაც ბარდება ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), მათემატიკა. პროგრამის დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციის მქონე

პირთა ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე ასევე შესაძლებელია შიდა მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვა. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე სიახლეების ველში, სწავლების დეპარტამენტის და ფაკულტეტის ვებგვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესების და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Agro/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და განსაზღვრული აქვს კონკრეტული სწავლის შედეგები. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 240 კრედიტს, რაც მიმართულია პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევაზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით.

საგანმანათლებლო პროგრამა „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი).

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით, 230 კრედიტით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორისაა 10 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსების სახით, ხოლო 10 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია სავლელე (5 კრედიტი) და საწარმოო (5 კრედიტი) პრაქტიკის სახით, პროგრამის სტრუქტურაში ასევე გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი 5 კრედიტის სახით.

პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების წარმოდგენილია 220 კრედიტის სახით, რომელიც წარმოდგენილია ზოგადი მენეჯმენტისა და დარგობრივი მენეჯმენტის საგნების სახით. ზოგადი მენეჯმენტის საგნები წარმოდგენილია შემდეგი კურსების სახით, კერძოდ: გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1, ეკონომიკის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, სტატისტიკის საფუძვლები, დაპროექტება და პროექტების მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში, ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი, აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები, რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი აგრობიზნესისთვის, ორგანიზაციული ქცევა, სავლელე პრაქტიკის კომპონენტი და საბაკალავრო ნაშრომი. ხოლო დარგობრივი მენეჯმენტის საგნები წარმოდგენილია შემდეგი კურსების სახით: ტყე და მერქნის დამუშავების მართვა, მცენარეთა ინვიტრო გამრავლების მენეჯმენტი, მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეების მენეჯმენტი, ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი, მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი.

გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის სავალდებულო საგნების მოდულში

გარკვეული სასწავლო კურსების შეთავაზება სავალდებულო კურსების სახით, კერძოდ:

- ვინაიდან პროგრამაში სავალდებულოდ ისწავლება სტატისტიკის კურსი და პროგრამის სტუდენტებს ბოლო სემესტრში უწევთ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულ იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერიტი და ზეპირი კომუნიკაციები;
- რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონენტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების „მწვანე ეკონომიკა“ და „ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
- რეკომენდებულია „რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში სხვადასხვა დარგობრივ სასწავლო კურსებში ჩამენებულია ხარისხის მართვის და რისკების მართვის საკითხები სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს აღნიშნული კურსების დამოუკიდებელი კურსების სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას. ასევე, პროგრამის სტრუქტურაში უცხო ენების კომპონენტი არის სავალდებულო არჩევითი სახით წარმოდგენილი ანუ პროგრამაზე სტუდენტს შეუძლია ჩააბაროს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენით და შემდგომ აირჩიოს უცხო ენა 26 კრედიტის ფარგლებში. თუმცა ცხადია, რომ ის სტუდენტი რომელმაც პროგრამაზე ჩააბარა მაგალითად გერმანული ენით და არ იცის ინგლისური ენა ის პროგრამის ფარგლებში ვერ აირჩევს ინგლისურ ენას რადგანაც მისი შესწავლა B1.1 დონიდან იწყება და არა A1.1. დონიდან. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი უმეტესი სასწავლო კურსის დამხმარე ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე, რაც ასევე ზღუდავს არაინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის მის გამოყენებას. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ სასურველია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე ლიტერატურასთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

პროგრამის სტრუქტურა ასევე მოიცავს პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტის დანიშნულებაა სტუდენტს მისცეს მომავალი პროფესიული საქმიანობის შესახებ ცოდნა, შეაჯამოს უნივერსიტეტში

მიღებული განათლება, გაუმდიეროს პრაქტიკული უნარები, რაც ხელს შეუწყობს ასევე, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას. საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის და ინფორმაციის სინთეზის უნარები, პრობლემების ხედვისა თუ შეფასების შესაძლებლობები. საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოახდინოს არსებული თეორიებისა და მიდგომების შედარება საკუთარ თვალსაზრისთან.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანა და წარმოადგინოს ანგარიშის სახით როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის ფორმით, ჩაერთოს დისკუსიაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც დაფიქსირებულია წარმოდგენილია რეკომენდაციების და რჩევების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერიტი და ზეპირი კომუნიკაციები;
- რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და სავალდებულო პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონენტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების „მწავნე ეკონომიკა“ და „ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
- რეკომენდებულია „რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი

შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს ხარისხის მართვის და რისკების მართვის სასწავლო კურსების დამოუკიდებელი კურსების სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მიზნების უკეთ მიღწევას; ▪ სასურველია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტი მოცემულია სასწავლო კურსების სახით, რომლებიც თავის მხრივ წარმოდგენილია სილაბუსების ფორმით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია, კურსის მოცულობა კრედიტებში, კურსის მიზანი, შინაარსი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა, სადაც გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების სქემის მიხედვით ნათლად არის ჩამოყალიბებული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან.</p>

ამასთან, პროგრამის ძირითადი სფეროს ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები, კერძოდ:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების უმრავლესობა წარმოდგენილია 5 კრედიტიანი კურსების სახით, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ განსაკუთრებით პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ნაწილში მოახდინოს სასწავლო კურსების კრედიტების რანჟირება თუნდაც 3-5 კრედიტის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში დამატებით იქნეს გამოთავისუფლებული გარკვეული კრედიტები და მოხდეს საჭირო ცვლილებების განხორციელება;
- რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების შინაარსის კორექტირება, კერძოდ, გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 - შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს სასწავლო კურსის „მენეჯმენტის საფუძვლების“ შინაარსი, რათა სრულად იქნეს მიღწეული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შემდეგი სწავლის შედეგი: „შეუძლია ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება და ადამიანთა მოტივაცია საერთო მიზნების მისაღწევად, ასევე სიტუაციის შესაბამისი ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება“. შესაბამისად, რეკომენდებულია კურსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახითაც;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები „დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ და „აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები“, როგორც პროექტების მართვა და მიწოდების ჯაჭვის მართვა;
- სასურველია დაწესებულებამ მაქსიმალურად აარიდოს თავი ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსში გარკვეული თემატიკის გადაფარვას, კერძოდ გარკვეულ საკითხებში (ბიზნესის გარემო, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფრომები, გადასახადები) ერთმანეთს ფარავს ბიზნესის საფუძვლების, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების სასწავლო კურსების შინაარსი;
- რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ სახით წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ

„საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;

- საჭიროა პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;

აღსანიშნავია, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მაქსიმალურად არის გამოყენებული პროგრამის სასწავლო ენაზე ანუ ქართულ ენაზე არსებული პროფილური სასწავლო ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდებულია მათი განახლება, კერძოდ:

- სასურველია სასწავლო კურსებში „ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია“, „ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“ სავალდებულო ლიტერატურის განახლება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება, კერძოდ, - შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „მენეჯმენტის საფუძვლების“ შინაარსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახით, რათა სრულად მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები „დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ და „აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები“, როგორც „პროექტების მართვა“ და „მიწოდების ჯაჭვის მართვა“;

- რეკომენდებულია სასწავლო კურსი „რესურსები და სტრატეგიული მენეჯმენტი“ გაიყოს ორ ნაწილად, რადგანაც კურსის შინაარსი გაჯერებულია ადამიანური რესურსების მართვის საკითხებით, თუმცა არასაკმარისად არის წარმოდგენილი უშუალოდ სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები (სტრატეგიული დაგეგმვის, სტრატეგიების შემუშავების, შერჩევის, დანერგვის, აღსრულების, მონიტორინგის და ა.შ. საკითხები). შესაბამისად, საჭიროა ცალკე იქნეს წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსები, რაც ასევე თანხვედრაშია მე-2 სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტში პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან;
- რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ „საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;
- რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ განსაკუთრებით პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ნაწილში მოახდინოს სასწავლო კურსების კრედიტების რანჟირება თუნდაც 3-5 კრედიტის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში დამატებით იქნეს გამოთავისუფლებული გარკვეული კრედიტები და მოხდეს საჭირო ცვლილებების განხორციელება;
- სასურველია დაწესებულებამ მაქსიმალურად აარიდოს თავი ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსში გარკვეული თემატიკის გადაფარვას, კერძოდ გარკვეულ საკითხებში (ბიზნესის გარემო, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფრომები, გადასახადები) ერთმანეთს ფარავს ბიზნესის საფუძვლების, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების,

საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების სასწავლო კურსების შინაარსი;

- სასურველია სასწავლო კურსებში „ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია“, „ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“ სავალდებულო ლიტერატურის განახლება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა გამოყენებულია პრაქტიკის კომპონენტის მიმართ კომბინირებული მიდგომა, კერძოდ გარდა იმისა რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში წარმოდგენილია პრაქტიკული ხასიათის დავალები და პროექტების მომზადება და პრეზენტაცია, პროგრამაში ასევე დამოუკიდებელი კომპონენტის სახით გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკულ და სასწავლო-კვლევით მუშაობა, რადგანაც პროგრამაში განსაზღვრულია პრაქტიკის კომპონენტის და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. პრაქტიკის კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელებისათვის უსდ-ს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, თუმცა როგორც პროგრამის და ფაკულტეტის ხელმძღვანელებთან გასაუბრებიდან გამოირკვა ისინი კიდევ სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთანაც თანამშრომლობენ. გამომდინარე აქედან რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ფაკულტეტებზე მუშაობს სექციები, სადაც მონაწილეობენ ყველა

საფეხურის სტუდენტები. ამასთან, სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

<p>გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. სწავლა-სწავლების თითოეული მეთოდი გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში და უზრუნველყოფს დასახული კურსის მიზნების მიღწევას. შესაბამისად თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა საბაკალავრო პროგრამის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ ფარგლებში გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც წარმოდგენილია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ, როგორც პროგრამიდან და სილაბუსებიდან ასევე, კონკრეტული საგნის პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან.

ამასთან, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების უმრავლესობაში გამოყენებულია ტესტური შეფასების მეთოდები დახურული კითხვარის გამოყენებით. მიუხედავად, იმისა რომ ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები მორგებულია თითოეულ სასწავლო კურსს, მიუხედავად ამისა კიდევ ერთხელ შეიძლება ამ მიმართულების გადახედვა. ამასთან, მიგვაჩნია რომ სასურველია გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად უნდა იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად: სასწავლო კურსში პროექტების მენეჯმენტი დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა მარტო ღია შეკითხვები, არამედ უშუალოდ კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი და მისი პრეზენტაცია. ასევე, ბუნდოვანია პრაქტიკის კომპონენტში ტესტური შეფასებები გამოყენების მიზანშეწონილობა და ა.შ.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმით, სადაც შუალედურ შეფასება ხდება 30 ქულით, ხოლო დასკვნითი შეფასება 70 ქულით. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ დაწესებულება მოცემულ შემთხვევაში იყენებს რანჟირებულ ქულას. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ქულის გასაჩივრების წესი. ინფორმაცია ამის შესახებ საჯაროდაა გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე, თუმცა ინტერვიუებში სტუდენტებმა აღნიშნეს რომ ამ სერვისით არ უსარგებლიათ. მიღებული ქულების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონული პორტალის მეშვეობით. მათთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ყოველთვის იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას ყოველი სემესტრის შემდგომ. გარდა სტუდენტების შეფასებებისა, პროგრამის ადმინისტრაცია ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. სემესტრის დასაწყისში სტუდენტს აქვს საშუალება გაეცნოს ელექტრონულ პორტალზე ატვირთულ სილაბუსს, ასევე ლექციების პროცესში ლექტორიც აცნობს მათ პროგრამას და ლიტერატურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების				

მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
---	--	---	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ შეფასებისას აღმოჩნდა, რომ სტუდენტები შეუფერხებლად იღებენ სასწავლო პროცესის შესახებ კონსულტაციას აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლებისგან. აღსანიშნავია, რომ პროგრამა არის ახალი და შესაბამისად სულ ერთი წელია რაც სტუდენტები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, თუმცა ამის მიუხედავად, ისინი კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით. სამომავლოდ აპირებენ უფრო აქტიურად ჩაერთონ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში. ექსპერტებს გვქონდა საშუალება მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ფაკულტეტი ორიენტირებულია სტუდენტზე, გარდა სასწავლო აქტივობებისა მათ აქვთ სხვადასხვა ღონისძიებებში, საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებში ჩართვის საშუალება. სემესტრის დასაწყისში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაგეგმონ სასწავლო გრაფიკი. ასევე, ლექტორები სასწავლო სემესტრის დასაწყისში ელექტრონულ პორტალზე უტვირთავენ ინფორმაციას სასწავლო კურსთან დაკავშირებით. სტუდენტებს შეუძლიათ წინასწარ გაეცნონ სილაბუსს და სილაბუსით გაწერილ ლიტერატურას. დამატებითი ლიტერატურის მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ელექტრონული პორტალის მეშვეობით გამოიწეროს წიგნი, რაც ერთ, ან ორ დღეში შეუძლია მიიღოს მეილზე. მომიჯნავე და არსებული პროგრამის სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხშირად იღებენ მონაწილეობის სტუდენტებისათვის განკუთვნილ გამოკითხვებში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ხშირად აქვთ შეკრებები სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით, ყოფილა შემთხვევა, რომ სტუდენტს გაუპროტესტებია ლიტერატურა, რაც გაითვალისწინა ფაკულტეტმა და ლექტორმა და მოხდა ლიტერატურის ჩანაცვლება. სტუდენტები თვლიან, რომ ფაკულტეტი ძალიან აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტებთან და მათ აზრს ითვალისწინებს.

უნივერსიტეტს აქვს მოქნილი ელექტრონული სისტემები: E-learning და lectori.ge, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ წიგნებზე, ასევე ლექციებზე და სასწავლო მასალაზე, ეცნობიან ინფორმაციას მიღებულ შეფასებებზე, რომლებიც იტვირთება ერთი კვირის განმავლობაში. ასევე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU -Tablet (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; გამოკითხვებში მონაწილეობისთვის მიმავრებული კითხვარები. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხშირად იდება ინფორმაცია დასაქმებასთან დაკავშირებით, თუმცა, ვინაიდან პროგრამის სტუდენტები ჯერ პირველ კურსელები არიან არ უსარგებლიათ აღნიშნული სერვისით.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტს აქვს თანამედროვე მატერიალური ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები. ექსპერტებს გვექონდა საშუალება ადგილზე გვეჩვენა აღნიშნული ლაბორატორიები, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. სტუდენტებმა ინტერვიუების დროს პროგრამის ერთ-ერთი ძლიერ მხარედ თანამედროვე ლაბორატორიები დაასახელეს. უნივერსიტეტს სხვადასხვა მიმართულებით აქვს მრავალფეროვანი საერთაშორისო პროგრამები, თუმცა აღნიშნულ პროგრამას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება აქვს. (University of Natural Resources and Life Sciences) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუშაობს საერთაშორისო პროგრამების განვითარებისათვის. ამ მიმართულებით მათ უკვე აქვთ დაწყებული მოლაპარაკებები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა

ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტანდარტი არშეფასებულ
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება 50 აფილირებული აკადემიური პერსონალისა (22 პროფესორი, 26 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი) და 12 მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა დასაქმება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოხდა მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუების შესაბამისად დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის წარდგენის ეტაპზე აქტიურ სტატუსს ფლობს 6 სტუდენტი. პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი მაღალკვალიფიკაციურობა დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და შესაბამისი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია მისი მონაწილეობა პროგრამის შეფასება-განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, სასწავლო პროცესის ჯეროვან განხორციელებაში, პერსონალის განვითარების პროცესებში.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია - სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და კომპეტენციით. ამასთან, დარგის თანამედროვე მიღწევების შესწავლისა და განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია პერსონალის შერჩევისას და აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა შესაბამის საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა.

სტუ-ს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს წარმომადგენლობითი

საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე. სასურველია პროგრამის ფარგლებში არსებობდეს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას და სხვა დატვირთვის პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში არსებობდეს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას, სხვა შესაბამის დატვირთვის პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე დატვირთვის ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- კონკურსის ჩატარების პირობები და ვადები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ფარგლებში არსებობდეს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას, სხვა შესაბამის დატვირთვის პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე დატვირთვის ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.
- სასურველია პერსონალის შერჩევისას და აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა შესაბამის საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტუ-ის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. სტუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას. ანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით.

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. სტუ-ის პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათ პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს. აღნიშნული პროცესები მოიცავს: ადამიანური რესურსის პროფესიული საქმიანობის შეფასება. სტუ-ის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში

მიღწეული შედეგების შეფასება ყოველწლიურად წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით: აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში (საერთო შეფასების მაქსიმუმ 40%). აქტივობები მეცნიერების ხაზით (კვლევები, ინოვაციები, სამეცნიერო პუბლიკაციები და სხვ., საერთო შეფასების მაქსიმუმ 40%). სტუ-სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები (საერთო შეფასების მაქსიმუმ 20%). ამისათვის თითოეული აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირი ავსებს ანკეტა-კითხვარს. სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დეპარტამენტების ხელმძღვანელები, რომლებიც უზრუნველყოფენ წლიური სამეცნიერო ანგარიშის წარდგენისათვის დეპარტამენტის ყველა თანამშრომლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დოკუმენტის მომზადებას. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული შემდეგი სამუშაოები: • საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით წინა წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) ან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; საქართველოში და/ან უცხოეთში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციები; საქართველოში ან/და უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებში, სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა სამეცნიერო/კვლევითი/საექსპერტო სამუშაოებში მონაწილეობა.

სტუ-ში ხელშეწყობილია და ფინანსურად უზრუნველყოფილი აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. აღნიშნული აქტივობების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ ზრდაზე და შესაბამისად ფიქსირდება მზარდი დინამიკა მათი მხრიდან.

ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალი ფინანსდება მათ მიერ მომზადებული სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებისა, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობისათვის. სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, რომელზეც წარსადგენი სასწავლო მასალა გადაეცემა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასკვნის მომზადებისათვის. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუ-სთვის მნიშვნელოვანია თითოეული დასაქმებულის დაინტერესება პროფესიული ზრდის მიმართულებით და მისთვის საჭირო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები/ტრენინგები/სემინარების ორგანიზება. სტუ-ში შეფასების მეთოდების გამოყენებით, დასაქმებულებში გარკვეული უნარების შექმნის/განვითარების მიზნით, შესაბამის ღონისძიებებში ჩართვა, ასევე უნივერსიტეტში ხდება დაგროვილი ცოდნის იდენტიფიცირება, რის შემდეგაც გარკვეული ცოდნისა და უნარების მქონე დასაქმებულს სამსახურებრივი საფეხურების შესაბამისად

ემღვეა დაწინაურების შესაძლებლობა.

სტუ-ის ხელმძღვანელობა აღიარებს და აფასებს ყოველი თანამშრომლის მიღწევებს, ხდება თითოეულის ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების წახალისება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა წახალისება ხორციელდება ხელფასზე გარკვეული თანხის დამატებით.

სტუ-ს აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალი ყოველწლიურად ახდენს ანკეტა-კითხვარის ფორმით საკუთარი მიღწევების თვითშეფასებას გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით, ხოლო სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) ხელმძღვანელს, რომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე (<http://science.gtu.ge/>) აღნიშნული ბაზიდან პერსონალის მეცნიერული აქტივობის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეფასების შედეგებს აცნობს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- ბონუსის გაცემის წესი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროფესორ-მასწავლებელთა და მოწვეულ პედაგოგთა ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ტრენინგებსა და სემინარებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი), რაც როგორც რაოდენობრივად ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საწარმოო და საველე პრაქტიკის ობიექტები იმგვარადაა შერჩეული, რომ უზრუნველყოფს პრაქტიკაზე განსახორციელებელი სამუშაოების შეუფერხებელ შესრულებას. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგის აქტუალურ მიღწევებს. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. სტუ, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწვევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციუმში მონაწილეობით სტუ-ის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Journals Online, BioOne Complete, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Developments Studies e-books, IMechE Journals, New England Journals of Medicine, Royal Society Journals Collection, SAGE Premier.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზი ონლაინ ლექციების მიმდინარეობისას, რაც დაკავშირებული იყოს ზუმის ონლაინ პლატფორმის 40 წუთიან უფასო უწყვეტ ლიმიტთან. შესაბამისად, სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ მომავალში დაგეგმილია ბაზების გაფართოება. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, ვინაიდან ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინფრასტრუქტურის ონლაინ რეჟიმში დათვალიერება;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა <https://gtu.ge/Library/>;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" <http://opac.gtu.ge/>;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით და იანგარიშება პროგრამის სასწავლო კომპონენტების, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტების მიხედვით.</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მთიანი რეგიონების ორგანული სისტემების მართვა“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული თანხის გამოყოფა დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის(მათ შორის პროგრამების მომზადებისათვის) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამოეყო შესაბამისი თანხა, რომელიც მოხმარდება პროგრამის შემუშავებასა და განვითარებას.</p> <p>მართალია, პროგრამის შემოსავალი სრულად ვერ დაფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯს, მაგრამ ამისათვის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გადმორიცხული თანხა სრულად ანაზღაურებს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ხარჯს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სტუ-ს ბიუჯეტი https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php ▪ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის №791 განკარგულება ▪ პროგრამის ბიუჯეტი.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესისათვის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. უსდ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სტანდარტები და პოლიტიკა, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული ძირითადი

მოთხოვნებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები (არაპირდაპირ). პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში გამოყენებულია ასევე სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.

პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეტაპობრივად მართავს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და დამსაქმებლებთან. ინტერვიუებმა გამოვლინა მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის ნაკლებობა შეფასების სისტემისა და მექანიზმების მიმართ. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით, რათა პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას აქტიურად ითვალისწინებდეს ხარისხის შეფასების შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა, დამსაქმებლებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტევიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან კოორდინირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მექანიზმებს. წინა პერიოდში განხორციელებულმა შემოწმებამ აკრედიტაციის მისანიჭებლად, საჭირო გახადა რეკომენდაციების გათვალისწინება. სტუ-ს პერსონალმა მოცემული რეკომენდაციები მეტწილად გაითვალისწინა, მოახდინა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ამით მოახდინა პროგრამის გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამაში გარე შეფასების კომპონენტების გათვალისწინების შემდეგი ასპექტები: პროგრამის კურიკულუმის შემუშავებისას უსდ-მ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2020 წლის დასკვნა „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე და განახორციელა რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებები პროგრამის განვითარების პროცესში. უსდ ასევე იყენებს ავტორიზაციის პროცესს უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, ინსტიტუციას მიეცა შესაძლებლობა სტუდენტებსა და</p>

კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასებინოს საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის № 618305 გადაწყვეტილება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ პირობითი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის,

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების მიზნებისათვის აწარმოებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. გარდა ამისა, ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი გულისხმობს სტუდენტთა და ლექტორთა შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალთან მუდმივ უკუკავშირსა და შეხვედრებს. პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობის შესაძლებლობები და არსებული კონტაქტები განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებლად (როგორც სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი, ასევე უცხოელი კოლეგების მიერ).

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მხედველობაში მიიღება რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, უნივერსიტეტს აქვს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ურთიერთმიმართებით, რაც რასაკვირველია დადებითი ფაქტორია პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

<p>სამსახურთან;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტევიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; ▪ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450, სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“; ▪ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ;
რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობის შესაძლებლობები და არსებული კონტაქტები განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებლად; ▪ სასურველია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოდილების შესწავლის ე.წ. „ბეჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გაგა ბუიშვილი

გიორგი ხაბეიშვილი

თამთა ცხოვრებაძე

თამარ თავხელიძე

